დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

10/06/2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 20

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 23

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 25

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 33

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	შპს
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	გლობალური ბიზნესის მენეჯმენტი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Global Business Management
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს „გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 11 ნოემბრის № 1445621 გადაწყვეტილება
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - გლობალური ბიზნესის მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუში და წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, მე-6 დონის საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. პროგრამა მიეკუთვნება სფეროს კოდს 0413 — მენეჯმენტი და ადმინისტრირება, სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე და მოიცავს 3 სასწავლო წელს, ანუ 6 სემესტრს, 180 ECTS კრედიტის მოცულობით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - 23 აპრილს განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სეუ-ს "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამის შესაფასებლად. უსდ-ს ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პეროსნალს, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებს. ასვე განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ვიზიტი მიმდინარეობდა კონსრრუქციულ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - ვიზიტის დროს შეფასდა პირველი, მეოთხე სტანდარტის 4.1, 4.3 და 4.4 კომპონენტი და მეხუთე სტანდარტ10D8

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები**
  - საურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს.
  - სასურველია რომ საერთაშორისო ვაჭრობის კურსის სავალდებულო ლიტერატურა გადაიხედოს და შეივსოს საერთაშორისო ვაჭრობის ეკონომიკისა და სავაჭრო პოლიტიკის სპეციალიზებული სახელმძღვანელოებით, ვინაიდან არსებული ბიბლიოგრაფია საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის წყაროებზეა ორიენტირებული და არა უშუალოდ საერთაშორისო ვაჭრობის თეორიასა და პრაქტიკაზე. ამასთანავე, მიზანშეწონილია კურსის შინაარსიდან გამოიყოს ისეთი თემები, როგორებიცაა გლობალური ადამიანური რესურსების მართვა და კულტურული განსხვავებები, და მათი სიღრმისეული შესწავლა შესაბამის სპეციალიზებულ კურსებზე გადაინაცვლოს

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 26 პირი, მათ შორის 16 აკადემიური და 10 მოწვეული პერსონალი. სამეცნიერო პერსონალი პროგრამაში ცალკე კატეგორიად არ არის წარმოდგენილი. დოკუმენტში საერთაშორისო პერსონალის რაოდენობრივი მონაცემი არ ფიქსირდება.
დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 16-ს, რაც ემთხვევა აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობას. კერძოდ, პროგრამაში ჩართულია 4 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი და 5 ასისტენტ-პროფესორი; ასისტენტის თანამდებობაზე პირი არ ფიქსირდება. შესაბამისად, წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, პროგრამის აკადემიური პერსონალი სრულად არის უზრუნველყოფილი დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პირებით.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 16:10-ს, ანუ დაახლოებით 1.6:1-ს, რაც მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელებაში აკადემიური პერსონალის წილი მოწვეულ პერსონალთან შედარებით მეტია.

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ახალია, შესაბამისად, პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ბოლო 5 წლის პროგრამასთან დაკავშირებული სრულფასოვანი რაოდენობრივი დინამიკა ამ ეტაპზე არ ფიქსირდება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული კონკრეტული რაოდენობრივი მონაცემები საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლებისა და სხვა სამეცნიერო/კვლევითი შედეგების შესახებ.

ამასთან, დოკუმენტაციითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები. პერსონალის საქმიანობის შეფასება მოიცავს როგორც სასწავლო, ისე კვლევით აქტივობებს, ხოლო უსდ ხელს უწყობს პერსონალის ჩართულობას კვლევით საქმიანობაში, პროფესიულ განვითარებაში, კონფერენციებში,

საერთაშორისო თანამშრომლობასა და სხვადასხვა აკადემიურ აქტივობაში. ასევე აღნიშნულია, რომ აკადემიური პერსონალი წარმოადგენს წლიურ ანგარიშს, რომელშიც აისახება სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით განხორციელებული აქტივობები, ხოლო მიღებული მონაცემები გამოიყენება პერსონალის შემდგომი განვითარების საჭიროებების განსაზღვრისათვის.

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ახალია და მისი განხორციელების პერიოდი ჯერ არ იძლევა აკადემიური პერსონალის გადინების 5-წლიანი დინამიკის სრულფასოვანი ანალიზის შესაძლებლობას. შესაბამისად, ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული ან ჩანაცვლებული აკადემიური პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი დოკუმენტში არ ფიქსირდება. ამ ეტაპზე წარმოდგენილი მონაცემები ასახავს პროგრამაში ჩართული მოქმედი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობას, ხოლო პერსონალის გადინების ტენდენციის შეფასება შესაძლებელი იქნება პროგრამის განხორციელების შემდგომ ეტაპებზე, შესაბამისი ისტორიული მონაცემების დაგროვების შემდეგ

-

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა 5-წლიანი მონაცემები, პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების კონკრეტული რაოდენობა და სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი. ამის მიზეზი, უკავშირდება პროგრამის სტატუსს - GBM ახლად შემუშავებული პროგრამაა, რომელიც 2024 წელს გადიოდა პირველ აკრედიტაციას და, შესაბამისად, მრავალწლიანი ჩარიცხვის ისტორია მას არ გააჩნია.

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

  რადგან ხორციელდებოდა მონიტორინგი თვითშეფასების ანგარიში არ იყო წარმოდგენილი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[4]

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დიგიტალიზაცია

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

  უსდ წარმოადგენს თავიანთ არგუმენტირებულ პოზიციას საბჭოზე.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	აირჩიეთ შესაბამისი
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	აირჩიეთ შესაბამისი
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	აირჩიეთ შესაბამისი
2.4	სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე]
[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები ნათელი სტრუქტურით გამოირჩევა — ოთხი მიზანი ლოგიკურად მიყვება ერთმანეთს, დაწყებული ზოგადი გლობალური ცნობიერებიდან, კონკრეტული ანალიტიკური უნარების ჩამოყალიბებამდე. "Develop", "Offer", "Equip" ზმნების გამოყენება მიზნებს მოქმედებაზე ორიენტირებულს ხდის და გარკვეულ სიცხადეს სძენს მათ ფორმულირებას.

სწავლების საფეხურის თვალსაზრისით, მიზნები ბაკალავრის პროგრამის შინაარსს ადეკვატურად ასახავს. მეოთხე მიზანი, რომელიც რაოდენობრივ უნარებსა და ბიზნეს გარემოს ანალიზს უსვამს ხაზს, განსაკუთრებით კარგად შეესაბამება მეექვსე დონე მოთხოვნებს, ვინაიდან ანალიტიკური კომპეტენციები სწორედ ამ საფეხურის განმსაზღვრელი ნიშანია.

ინტერნაციონალიზაციის კუთხით, მეორე მიზანში კულტურათაშორის მენეჯერული კომპეტენციების პირდაპირ დასახელება და პირველ მიზანში ,,გლობალური საკითხების მცოდნე კურსდამთავრებულების“ (globally aware graduates) ხაზგასმა პროგრამის სახელწოდებასთან თანხვედრაშია და ნათლად გამოხატავს პროგრამის საერთაშორისო ორიენტაციას. მესამე მიზანში მდგრადი განვითარებისა და ეთიკური გადაწყვეტილების მიღების ხსენება კი თანამედროვე გლობალური ბიზნეს სტანდარტების გათვალისწინებაზე მეტყველებს, რაც დღევანდელ საერთაშორისო სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება.

მეოთხე მიზანი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ბიზნეს გარემოს კვლევა და ანალიზი ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში ერთდროულად არის განხილული. ეს მიდგომა კურსდამთავრებულს აძლევს საშუალებას, შეიძინოს ისეთი კომპეტენციები, რომლებიც საქართველოს ბაზარზეც გამოადგება და საერთაშორისო გარემოშიც.

პროგრამის მიზნები ასევე კარგად ასახავს კარიერული განვითარების პერსპექტივას. პირველ მიზანში ,, კარიერისთვის მზად კურსდამთავრებულების"(career-ready graduates) ხაზგასმა და მესამე მიზანში მეწარმეობითი აზროვნების განვითარება ერთობლივად ქმნის სრულყოფილ სურათს — კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც არსებულ ორგანიზაციაში დასაქმება, ასევე საკუთარი ბიზნესის წამოწყება. ეს ორმაგი ორიენტაცია თანამედროვე ბიზნეს განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	აირჩიეთ შესაბამისი

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირი ლოგიკურია. კომპეტენციების რუქა აჩვენებს, რომ თითოეული მიზანი დაკავშირებულია კონკრეტულ სწავლის შედეგებთან, რაც სისტემური მიდგომის ნიშანია. მაგალითად, მეოთხე მიზანი რაოდენობრივი უნარების შესახებ კარგად აისახება მესამე სწავლის შედეგში, სადაც ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეფასება და გამოყენებაა ნახსენები.

პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტი მეცხრე შედეგშია ნათლად გამოხატული, სადაც სწავლისა და პიროვნული განვითარების დაგეგმვაზეა საუბარი. გაზომვადობის თვალსაზრისით სწავლის შედეგები თანაბარია. შედეგი გაზომვადია

რომელიც შეიცავს კონკრეტულ, დაკვირვებად ქმედებებს, რომლებიც შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირება შედარებით მარტივია.

მიღწევადობისა და რეალისტურობის თვალსაზრისით 9 სწავლის შედეგი 3 წლის, 180 ECTS პროგრამისთვის პრინციპში რეალისტურია. თუმცა სწავლის შედეგების შეფასების ცხრილში დასახული სამიზნე ბენჩმარქი — "50% of students will receive at least 70% of the grade" — ყველა შედეგისთვის იდენტურია, რაც მიუთითებს, რომ სწავლის შედეგების სირთულის დიფერენცირება შეფასების სისტემაში არ არის გათვალისწინებული. გასაგებიც არის, ვინაიდან პროგრამა ახალია და შესაბამისად არ არსებობს წარსულის მონაცემები რათა მოხდეს სამიზნე ნიშნულების დიფერენცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გლობალური ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამა
- სწავლის შედეგების რუკა

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული ცხრილი, რომელიც თითოეულ სწავლის შედეგს აკავშირებს კონკრეტულ სასწავლო კურსთან, შეფასების რუბრიკასთან, პერიოდთან, შემფასებელთან და სტუდენტთა რაოდენობასთან. ეს

თავისთავად დადებითი ნიშანია და მიუთითებს, რომ შეფასების სისტემა გააზრებულად არის დაგეგმილი.

თანმიმდევრულობის თვალსაზრისით პროგრამა გარკვეულ სისტემას ავლენს — სწავლის შედეგების შეფასება განაწილებულია ყველა 6 სემესტრზე და მოიცავს პროგრესულ კომპლექსურობას სწავლების სხვადასხვა ეტაპზე. პირველ სემესტრში შეფასება შედარებით მარტივ ინსტრუმენტებს ეყრდნობა, ხოლო მეექვსე სემესტრში Entrepreneurship Business Plan და Internship ყველაზე კომპლექსურ შეფასებებს წარმოადგენს.

გამჭვირვალობის კუთხით შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებშია გაწერილი და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისში ელექტრონულ სისტემაში, რაც გამჭვირვალობის მნიშვნელოვანი ელემენტია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს ციფრული სახით ახორციელებს. ავტომატიზირებული რეჟიმში წარმოებს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი, რაც გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლემა ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე ვიზიტისას უჩენეს სწავლის შედეგების ციფრული ანალიზი ცალკეული პროგრამისათვის.

რეკომენდაცია 1

შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია უსდ-ს მიერ სრულიად არის გათვალისწინებული: რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სრულად თვითშეფასებისას, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტუდენტთა პროგრესია აკადემიური წლების მიხედვით, მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, როგორც ეს მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის ფორმაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა გამოავლინოს გასაუმჯობესებელი სფეროები, ასევე დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები და ვადები ამ სფეროების გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გლობალური ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამა
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
- გასაუბრების შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია სტანდარტიზებული სტრუქტურის მიხედვით, რომელიც მოიცავს პროგრამის ზოგად ინფორმაციას, მიზნებს, სწავლის შედეგებს, კომპეტენციების რუქას, სასწავლო გეგმას, შეფასების სისტემას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. ეს სტრუქტურა მიუთითებს, რომ პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში მოქმედი ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომის შესაბამისად. პროგრამის სასწავლო გეგმა დეტალურად ასახავს თითოეული კურსის საკონტაქტო საათებს, დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, წინაპირობებს და კრედიტების განაწილებას სემესტრების მიხედვით, რაც დაგეგმვის სისტემური მეთოდოლოგიის გამოყენებაზე მეტყველებს.

პროგრამა სრულად შეესაბამება ბაკალავრის საფეხურს — 180 ECTS, 4500 საათი, 3 სასწავლო წელი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს პასუხობს. შინაარსის კომპლექსურობის კუთხით პროგრამა ძირითადად ადეკვატურია. სასწავლო კურსები მოიცავს ბიზნეს მენეჯმენტის ძირეულ დისციპლინებს — ბუღალტერიას, მარკეტინგს, ფინანსებს, სამართალს, ოპერაციების მართვას — რომლებიც ბაკალავრის დონისთვის შესაფერისი სირთულის დისციპლინებია. კომპეტენციების რუქა ასახავს ცოდნის პროგრესულ განვითარებას — შესავლიდან (1) ათვისებამდე (3), რაც მეექვსე დონის მოთხოვნებს შეესაბამება.

პროგრამა შეესაბამება ECTS-ის პრინციპებს. ერთი კრედიტი განსაზღვრულია 25 საათის სტუდენტის სასწავლო დატვირთვის სახით, რაც ევროპული სტანდარტის შესაბამისია. წლიური დატვირთვა 60 ECTS-ს შეადგენს, სემესტრული კი — 30 ECTS-ს, რაც კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს პასუხობს. კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით დაბალანსებულია — პირველი ხუთი სემესტრი 30 კრედიტს, ხოლო მეექვსე სემესტრი, სადაც სტაჟირება შედის, 30 კრედიტს ითვალისწინებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ასევე კანონმდებლობის მოთხოვნების ფარგლებშია.

მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, სფეროს კოდი — 0413. პროგრამის შინაარსი ამ კვალიფიკაციას ძირითადად შეესაბამება — ბიზნეს ადმინისტრირების ძირეული დისციპლინები წარმოდგენილია და სწავლის შედეგებთან კავშირი კომპეტენციების რუქით დოკუმენტირებულია.

პროგრამის სახელწოდება "გლობალური ბიზნესის მართვა" და გულისხმობს იმას, რომ კურსდამთავრებული უნდა იყოს მომზადებული საერთაშორისო გარემოში ბიზნეს პროცესების მართვისთვის. ამ თვალსაზრისით პროგრამის სტრუქტურას ყველაზე მეტად შეესაბამება საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგია, გლობალური სამუშაო ძალის მართვა, მეწარმეობა გლობალურ კონტექსტში, საერთაშორისო ვაჭრობა, მუშაობა გლობალურ მრავალფეროვან გუნდებში და საერთაშორისო სამეწარმეო სამართალი, ვინაიდან სწორედ ეს კურსები აერთიანებს სახელწოდების სამივე კომპონენტს — გლობალურობას, ბიზნესსა და მართვას — ერთიან კონტექსტში.

რეკომენდაცია 2

უსდ მიერ რეკომენდაცია ,,რეკომენდებულია, რომ პროგრამაში შევიდეს კურსი მენეჯმენტის საფუძვლები, რომელიც შეიძლება გახდეს მენეჯმენტთან დაკავშირებული პროგრამის ზოგიერთი კურსისთვის წინაპირობა. გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ "ბიზნესის კვლევის უნარების" კურსის წინაპირობა გახდეს "მონაცემთა ანალიზის უნარები ბიზნესისთვის", ხოლო "საერთაშორისო ვაჭრობის" კურსის წინაპირობა გახდეს "ბიზნესის ეკონომიკური გარემო" გათვალისწინებულია.

საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილია მენეჯმენტის პრინციპების სასაწავლო კურსი რომელიც წარმოდგენს სხვადასხვა მენეჯმენტის მიმართულების წინაპირობას. ბიზნესის კვლევის უნარების წინაპირობად განისაზღვრა მონაცემთა ანალიზის უნარები ბიზნესში, ხოლო "საერთაშორისო ვაჭრობის" კურსის წინაპირობა გახდეს "ბიზნესის ეკონომიკური გარემო"

რეკომენდაცია 3

რეკომენდებულია, რომ გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სახელწოდების გათვალისწინებით, სხვადასხვა ბიზნეს საგანთან ერთად, პროგრამაში შევიდეს ისეთი კურსები, როგორიცაა ექსპორტ-იმპორტის მენეჯმენტი, საერთაშორისო მარკეტინგი და საერთაშორისო ფინანსები.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შეტანილია შემდეგი საგნები: საერთაშორისო მარკეტინგი და საერთაშორისო ფინანსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გლობალური ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამა
- გასაუბრების შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსების შეფასებისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული კურსის სწავლის შედეგები ზოგადად შეესაბამება პროგრამის მთლიან სწავლის შედეგებს, რაც კომპეტენციების რუქაშია დოკუმენტირებული. კომპეტენციების რუქა აჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს თითოეული კურსი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას შესავლის, გაღრმავებისა და დაუფლების სამი დონის მიხედვით, რაც სისტემური მიდგომის ნიშანია.

კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირის თვალსაზრისით პროგრამა ლოგიკურ სტრუქტურას ავლენს — თითოეული კურსის დასახელება და მისი ადგილი სასწავლო გეგმაში შინაარსობრივ თანხვედრაშია შესაბამის სწავლის შედეგებთან. კრედიტების განაწილება კურსებს შორის ასევე ადეკვატურია — უფრო კომპლექსური და ინტეგრირებული კურსები, როგორებიცაა საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგია, პროექტის მართვა და ბიზნეს კვლევის უნარები, 10 ECTS-ით არის შეფასებული, რაც მათ შინაარსსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს შეესაბამება. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა კურსების სპეციფიკას ითვალისწინებს — 10-კრედიტიანი კურსებისთვის საკონტაქტო საათები 84-ს შეადგენს, დამოუკიდებელი კი 166-ს, რაც ბაკალავრის საფეხურისთვის შესაფერის თვითმართვის უნარის განვითარებას უზრუნველყოფს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი შეფასების ფორმებით, რომლებიც სილაბუსებშია განსაზღვრული და სტუდენტებისთვის სემესტრის დასაწყისში ხელმისაწვდომია.

რეკომენდაცია 4: რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება უახლესი წიგნებით;

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა

შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა ვფიქრობთ ზოგიერთი სასწავლო კურსის ლიტერატურა საჭიროებს განახლებას:

Entrepreneurship in a Global Context

1. New Business Road Test by John Mullins 2017 5th edition
2. Venture Capital & Private Equity, 5th Edition (Lerner, at al), 2012 Book 4: Fixed Income, Derivatives, and Alternative Investments, Level I CFA (Kaplan, Schweser); 2012

International business law

1. Business Law by Ewan MacIntyre, Pearson Education Ltd., 9th edition (2018);
2. Business Law by Robert W. Emerson, Barron's Educational Series, Business Review Books, Sixth Edition (2015).
3. International Business Law and Its Environment by Richard Schaffer; 2014

Introduction to Entrepreneurship

- Start-Up: A Practice Based Guide for New Venture Creation by Inge Hill 2016

Managing Global workforce

- Human resource management: a contemporary approach edited by Julie Beardwell; Amanda Thompson 2017 Eight edition
- Human Resource Management: Ethics and Employment. Ashly Pennington, Rob Macklin and Campbell Tom. Oxford University Press. 2007
- Strategic human resource management; Caldwell, C; Anderson, V.; Nova Science Publishers; New York; 2018
- Human Resource Management (HRM) Framework and Handbook, 2019

ზემოაღნიშნული ლიტერატურა გამოცემულია 7-10 წლის წინ.

გარდა ამისა ვფიქრობთ საერთაშორისო ვაჭრობის სილაბუსის შინაარსი საჭიროებს დახვეწას. კერძოდ მიუხედავადვ იმისა, რომ სილაბუსში მოცემულია საკითხები რომელიც მოიცავს საერთაშორისო ვაჭრობის ძირეულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს — გლობალიზაციის თეორიიდან და საერთაშორისო ვაჭრობის ინსტრუმენტებიდან დაწყებული, სავაჭრო პოლიტიკის პოლიტიკური ეკონომიით, ვალუტის ბაზრებით და საერთაშორისო მონეტარული სისტემით დამთავრებული. კლასიკური სავაჭრო თეორიები — რიკარდოს მოდელი, ჰეკშერ-ოლინის მოდელი, შედარებითი უპირატესობის კონცეფცია — ასევე სათანადოდ არის წარმოდგენილი. თუმცა სილაბუსში რამდენიმე თემაა, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის ვიწრო ჩარჩოს გარკვეულწილად სცდება. კერძოდ, გლობალური ადამიანური რესურსების მართვა, კულტურული განსხვავებები, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და European Green Deal უფრო საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის კურსის თემატიკას მიეკუთვნება, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობის სპეციფიკურ საკითხებს. ამასთანავე, კურსის სწავლის შედეგებში მეხუთე შედეგი, რომელიც

კორპორატიული სტრატეგიის შემუშავებას ეხება, ასევე უფრო ფართო ბიზნეს სტრატეგიის სფეროს განეკუთვნება.

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის გამოტოვებულია სტანდარტული სავაჭრო მოდელი, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ფუნდამენტური თეორიული ჩარჩოა. ასევე არ არის წარმოდგენილი კომპანიების საექსპორტო გადაწყვეტილებების თემა **სიღრმისეული თეორიული კუთხით** — სილაბუსში ექსპორტ-იმპორტის სტრატეგია პრაქტიკული პერსპექტივით არის განხილული, თუმცა თეორიული მოდელი, რომელიც კომპანიების გლობალურ ეკონომიკაში ქცევას ხსნის, გამოტოვებულია. სავაჭრო პოლიტიკის ნაწილიდან კი არ არის შეტანილი სავაჭრო პოლიტიკის საკამათო საკითხები, რომელიც თანამედროვე სავაჭრო დებატებს, პროტექციონიზმს და გლობალიზაციის კრიტიკას მოიცავს და განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ გეოპოლიტიკურ კონტექსტში.

სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოთხი სავალდებულო წყაროდან ორი — Charles Hill-ის "International Business: Competing in the Global Marketplace" და John Daniels-ის "International Business: Environments and Operations" — პირდაპირ საერთაშორისო ბიზნესის სახელმძღვანელოებია და არა საერთაშორისო ვაჭრობის. მხოლოდ Paul Krugman-ისა და Maurice Obstfeld-ის ნაშრომები — "International Economics: Theory & Policy" და "International Trade: Theory & Policy" — პირდაპირ შეესაბამება კურსის დასახელებას და შინაარსს.

რეკომენდებული ლიტერატურის შემთხვევაშიც მსგავსი სურათია — ხუთი წყაროდან სამი საერთაშორისო ბიზნესის სახელმძღვანელოა, და მხოლოდ ორი — Krugman-Obstfeld-Melitz-ის მეთერთმეტე გამოცემა და Belay Seyoum-ის "Export-Import Theory, Practices, and Procedures" — უშუალოდ საერთაშორისო ვაჭრობის თემატიკას ეხება. მაშინ როდესაც თავად კრუგმანს აქვს გამოცემული კონკრეტულად საერთაშორისო ვაჭრობის სახელმძღვანელო.

იდეალურ შემთხვევაში საერთაშორისო ვაჭრობის კურსისთვის სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ 70-80% სწორედ საერთაშორისო ვაჭრობის ეკონომიკის, სავაჭრო პოლიტიკისა და სავაჭრო თეორიების სახელმძღვანელოებს უნდა წარმოადგენდეს. ამჟამინდელი სტრუქტურა კი უფრო საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის კურსის ბიბლიოგრაფიას გავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- გლობალური ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამა
- გასაუბრების შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- საურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს.
- სასურველია რომ საერთაშორისო ვაჭრობის კურსის სავალდებულო ლიტერატურა გადაიხედოს და შეივსოს საერთაშორისო ვაჭრობის ეკონომიკისა და სავაჭრო პოლიტიკის სპეციალიზებული სახელმძღვანელოებით, ვინაიდან არსებული ბიბლიოგრაფია საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის წყაროებზეა ორიენტირებული და არა უშუალოდ საერთაშორისო ვაჭრობის თეორიასა და პრაქტიკაზე. ამასთანავე, მიზანშეწონილია კურსის შინაარსიდან გამოიყოს ისეთი თემები, როგორებიცაა გლობალური ადამიანური რესურსების მართვა და კულტურული განსხვავებები, და მათი სიღრმისეული შესწავლა შესაბამის სპეციალიზებულ კურსებზე გადაინაცვლოს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	აირჩიეთ შესაბამისი

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	აირჩიეთ შესაბამისი

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1_სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2_მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან

დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ადამიანური რესურსების კომპონენტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და ადმინისტრაციულ წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია გააჩნიათ. პროგრამის საკადრო უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით უსდ-მ დამატებით აიყვანა პერსონალი, ხოლო ამჟამადაც მიმდინარეობს კონკურსი, რაც მიუთითებს უნივერსიტეტის თანმიმდევრულ მიდგომაზე პროგრამის ადამიანური რესურსების შემდგომი გაძლიერებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული სრულად ეხმიანება აკრდიტაციის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც პროგრამას უნდა ახორციელებდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, ხოლო პერსონალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის სტაბილურ ფუნქციონირებას.

ამავე დროს, წარმოდგენილი გარემოებები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა მიმართულია სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვისაკენ. დამატებითი პერსონალის მოზიდვა და მიმდინარე საკონკურსო პროცესი მოწმობს, რომ დაწესებულება ადამიანური რესურსის დაგეგმვას უკავშირებს პროგრამის განვითარებასა და მის მდგრადობას, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სასწავლო კომპონენტის შეუფერხებელი განხორციელებისთვის, არამედ პერსონალზე დაკისრებული სხვა აკადემიური და ორგანიზაციული ფუნქციების ჯეროვანი შესრულებისთვისაც. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები და მათი განვითარების დინამიკა ქმნის პროგრამის მდგრადი განხორციელების სანდო საფუძველს.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში. ხელმძღვანელის ჩართულობა გამოიხატება როგორც პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული განვითარებით, ისე ადამიანური რესურსების მართვისა და აკადემიური პროცესის კოორდინაციის მხარდაჭერით.

ასევე დასტურდება, რომ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აღნიშნული მნიშვნელოვანია სტუდენტთა ინფორმირების, აკადემიური პროცესის ორგანიზებისა და პროგრამის ყოველდღიური ადმინისტრირების ეფექტიანად წარმართვისათვის. ადამიანური რესურსის ეს ნაწილი უზრუნველყოფს არა მხოლოდ

პროგრამის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, არამედ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შენარჩუნებასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასდება, რომ გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ადამიანური რესურსი შეესაბამება 4.1 კომპონენტის მოთხოვნებს: პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების კვალიფიკაცია, პერსონალის რაოდენობა, განვითარებისკენ მიმართული საკადრო პოლიტიკა, პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა და ადმინისტრაციული მხარდაჭერა ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან, სტაბილურ და მდგრად ფუნქციონირებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**16**	**16**	**16**	**12**
- პროფესორი	4	4	4	3
- ასოცირებული პროფესორი	7	7	7	4
- ასისტენტ-პროფესორი	5	5	5	3
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	10	10	10	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის სია;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები და CV-ები;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ადამიანური რესურსების მართვის შიდა რეგულაციები;
- უნივერიტეტის ვებგვერდი https://www.seu.edu.ge/ka/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება რეგულარულად ახორციელებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და მათ იყენებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის. შეფასების პრაქტიკა მოიცავს როგორც სასწავლო საქმიანობის, ისე კვლევითი აქტივობისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულობის შეფასებას, რაც უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის სისტემურ მონიტორინგსა და განვითარების საჭიროებების გამოვლენას.

ამავდროულად, დგინდება, რომ უსდ ზრუნავს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ქმნის შესაბამის პირობებს მათი კვალიფიკაციის გაღრმავებისათვის. დაწესებულების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები მიმართულია სწავლების თანამედროვე მეთოდების განვითარების, დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერების, აკადემიური საქმიანობის ხარისხის ამაღლებისა და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართულობის ხელშეწყობისკენ. პროფესიული განვითარების ეს მექანიზმები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და ადასტურებს, რომ უსდ პროფესიული განვითარების პროცესს განიხილავს არა ერთჯერად აქტივობად, არამედ ინსტიტუციური მხარდაჭერის უწყვეტ ნაწილად.

მონიტორინგისას ასევე დადასტურდა, რომ დაწესებულება ხელს უწყობს პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისი

მხარდაჭერა ვლინდება კვლევით და პროფესიულ აქტივობებში მონაწილეობის წახალისებით, აკადემიური და სამეცნიერო ჩართულობის მხარდაჭერით, ასევე იმგვარი გარემოს შექმნით, რომელიც პერსონალს აძლევს შესაძლებლობას, განაახლოს ცოდნა, გააძლიეროს კვლევითი უნარები და საკუთარი საქმიანობა დაუკავშიროს პროგრამის განვითარებას. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პერსონალის ინდივიდუალური განვითარებისათვის, არამედ პროგრამის ხარისხის, აქტუალობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასდება, რომ გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარების და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები შეესაბამება აკრდიტაციის მოთხოვნებს. შეფასებისა და ანალიზის რეგულარული პრაქტიკა, პროფესიული განვითარებისადმი ინსტიტუციური მიდგომა და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა ერთობლიობაში ქმნის პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისა და შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმები;
- პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- უნივერიტეტის ვებგვერდი https://www.seu.edu.ge/ka/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ადგილზე ვიზიტისას დათვალიერებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის განხორციელებისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსები, რომლებიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტებისა და პერსონალისთვის უზრუნველყოფილია შესაბამის რესურსებზე წვდომა, რაც ქმნის პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის საჭირო გარემოს.

მონიტორინგისას წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებებით ასევე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ზრუნავს რესურსების განახლებასა და განვითარებაზე. ეს გამოიხატება როგორც საბიბლიოთეკო ფონდისა და ციფრული რესურსების განახლებით, ისე სასწავლო პროცესის მხარდამჭერი გარემოს გაუმჯობესებით. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ხელი მიუწვდებათ თანამედროვე ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, სასწავლო მასალებსა და ციფრულ პლატფორმებზე, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს გაეცნონ შესაბამისი სფეროს თანამედროვე აკადემიურ და პროფესიულ ცოდნას. აღნიშნული სრულად შეესაბამება 4.4 კომპონენტის იმ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც პროგრამას უნდა ჰქონდეს შესაბამისი საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ციფრული რესურსები და უნდა ზრუნავდეს მათ პერიოდულ განახლებაზე.

აღსანიშნავია, რომ უსდ აქტიურად თანამშრომლობს Coventry University London-თან და ეს პროგრამა მისი BA Global Business Management პროგრამის კურსობრივ სტრუქტურასა და სასწავლო დიზაინთან თანხვდრაშია. პროგრამა ორიენტირებულია საერთაშორისო აკადემიურ პრაქტიკებთან შესაბამისობაზე და იყენებს მსგავსი ტიპის სასწავლო და საინფორმაციო რესურსების ლოგიკას. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია, რადგან მიუთითებს, რომ პროგრამის მატერიალური და საინფორმაციო უზრუნველყოფა ვითარდება იმგვარად, რომ მხარი დაუჭიროს საერთაშორისო პარტნიორ ან ანალოგიურ პროგრამებთან თავსებად სასწავლო გარემოსა და რესურსულ სტანდარტებს.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ პროგრამაში ჩართული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობებისა და მოხმარების წესების შესახებ, ხოლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და სტუდენტებს აქვთ შესაბამისი ტექნიკური და ციფრული მხარდაჭერა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამისთვის, რომელიც გლობალური ბიზნესის მართვის მიმართულებით არის ორიენტირებული და საჭიროებს საერთაშორისო ბაზებზე, თანამედროვე ბიზნესკეისებზე, კვლევით მასალებსა და ციფრულ სასწავლო ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, მატერიალური რესურსი წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც ფიზიკური ინფრასტრუქტურა, არამედ როგორც პროგრამის შინაარსთან შესაბამისობაში მყოფი ერთიანი სასწავლო გარემო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასდება, რომ გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, შესაბამისი საინფორმაციო და ციფრული რესურსებით, ტექნიკური აღჭურვილობითა და საბიბლიოთეკო მხარდაჭერით; ამასთან, საერთაშორისო ანალოგიური პროგრამის რესურსულ ლოგიკასთან თანხვედრა დამატებით აძლიერებს დასკვნას, რომ პროგრამის მატერიალური რესურსები პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების ჩამონათვალი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა პროგრამის სილაბუსებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სასწავლო სივრცეების დათვალიერების შედეგები;
- სტუდენტებისა და პერსონალის რესურსებზე ხელმისაწვდომობის ამსახველი ინფორმაცია;
- Coventry University London-ის BA Global Business Management პროგრამის Course Specification/Course Design დოკუმენტი;
- პროგრამის შინაარსობრივი და რესურსული თანხვედრის დამადასტურებელი მასალა;
- ინტერვიუს შედეგები.
- უნივერიტეტის ვებგვერდი https://www.seu.edu.ge/ka/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.4. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალვრო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის ფარგლებში - განხორციელებული ვიზიტისას წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუების სერიაში გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკრედიტაცისას კლასტერული აკრედიტაციის ფორმატში ხარისხის ნაწილში გაცემული რეკომენდაცია „უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტუდენტთა პროგრესი აკადემიური წლების მიხედვით, მინიმუმ 5 წლის განმავლოობაში" გათვალისწინებული და შესრულებულია.

რადგან პროგრამაზე არ განხორციელებულა სტუდენტთა მიღება, სტუდენტთა პროგრესისას შეფასების ნაწილში ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია სხვა პროგრამებთან მიმართებაში.

ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, უსდში თითოეულ პროგრამაზე შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, ამასთან კლასტერული აკრედიტაციის შემდეგ რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე უსდში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მოხდა ახალი ფუნქციის ჩაშენება და პროგრამის სწავლის შედეგების ყოველსემესტრული შეფასება, თუ რამდენი სტუდენტი, სასწავლო კურსების მიხედვით- რომელ შედეგზე გადის., რაც იძლევა შესაძლებლობას დანახული და გაანალიზებული იყოს სტუდენტთა პროგრესი ყოველსემესტრულად და შესანბამისად, აკადემიური წლების მიხედვითაც.

ასევე ხორციელდება სამიზნე ნიშნულების მიღწევის ინდიკატორების ანალიზი, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა ხდება კურსების სპეციფიკის შესაბამისად, და ის 60 დან-70 პროცენტის ფარგლებშია.

აღნიშნული პლატფორმის გამოყენებით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რომელი სწავლების მეთოდით მოხდა სწავლის კონკრეტულ შედეგებზე გასვლა- რუბრიკების შესაბამისად, რუბრიკა ჩაშლილია ქულების მიხედვით.

ყოველი სემტრის ბოლოს ხდება ამ მონაცემების ანალიზი ანგარიშის ფორმის შევსება და

პროგრამის თითოეულ შედეგის დეტალური ანალიზი.

პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, „ყოველი სემეტრის ბოლოს ანგარიშს წარვადგენთ და ხარისხის სამსახურის მესვეურებთან ერთად ვახორციელებთ სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს, ჩაშენებულ პლატფორმაზე ავტომატურად ხდება სტუდენტის აკადემიური შეფასებისა ანალიზი, და ასევე ავტომატურად ხდება ანგარიშის ამობეჭდვა, შემდეგ კი ჩვენს მიერ მიმდინარეობს ანალიზი, სტუდენტებთან რა ნაწილში - სად არის ჩავარდნა, ან პირიქით, პროგრესი, შესაბამისად ყოველი მომდევნო ცვლილებები იგეგმება ამ ანალიზის საფუძველზე, თუ რა ცვლილებებია შესატანი, სად, რა არის შესაცვლელი.

საბოლოოდ, ეს ცვლილებები წარედგინება ფკულეტეტის საბჭოს, შესაბამისად, ხორციელდება პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და განიხილება ძირითადიი მიგნებები".

პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის წარმომადგენლების თქმით, ასევე გამოიყენება კოლეგიალური დასწრების ფორმაც, განსაკუთრებით ახალ პერსონალთან და მიმდინარეობს

კონსტრუქციული მსჯელობა ლექტორის მიერ გამოყენებული სტუდენტის შეფასების ფორმების, სწავლების მეთოდების შესახებ და სხვა.

უსდს მესვეურთა თქმით, ასევე საანგარიშო პერიოდში დამატებულია პრაქტიკის ობიექტები და გაფორმებულია მემორანდუმები.

გასაუბრებებით ასევე იკვეთება, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდში კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ისინი მონიტორინგს უწევენ და ჩართულნი არიან პროცესების ყველა ეტაპში: დაგეგმვაში, განხორციელებაში, შემოწმებასა და განვითარებაში (მიმდინარე შეფასებები, რომლის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა უსდში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები აღწერილია უნივერსიტეტების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასა და პროგრამების განხორციელების შეფასების წესში.

ზემოთ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებს.
კარგად არის დაგეგმილი განსახორციელებული პროცედურები, რის საფუძველზეც წარმოებს მიმდინარე პროცესების შეფასება. შეფასების შედეგებზე დაფუძნებით კი შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება პრინციპის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" საფუძველზე.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებში მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მნიშვნელოვანი უკუკავშირის მიღებას, არამედ წარმოდგენილ პროგრამის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობის გაზიარებას.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები.
აღნიშნული დასტუდება წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტით და ინტერვიუებში გაჟღერებული ინფორმაციით.
გასაუბრებებით ასევე იკვეთება, რომ უსდში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, მათი კმაყოფილების კვლევა სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდების მოხმარებასა და სხვ. პერიოდულად მიმდინარეობს კითხვარების განახლება.

გამოკითხვის პროცესში ფაკულტეტი იყენებს, როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებულ, ისე დამატებით კითხვარებს, რაც უკავშირდება დარგის სპეციფიკას.

ინტერვიუერების თქმით, კვლევებში იყენებენ სხვადასხვა ტიპის გამოკითხვებს: სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვებს, კითხვარების ანალიზს.
მათი თქმით, ხარსხისხის სამსახურის სპეციალისტები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად აქტიურად არიან ჩართული შიდა ხარისხის შეფასების პროცესში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის კულტურის ამაღლებას.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივ რეჟიმში კონსულტაციებს უწევს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალს, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
ამ პროცესში სისტემატურად მიმდინარეობს სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო პროცესის

ორგანიზებისა და მისი შეფასების თვალსაზრისით.
აღსანიშნავია პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამაში ჩართული პერსონალის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამსახურთან, მათი აქტიურობა ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგემილ სხვადასხვა ტიპის ისეთ შეხვედრებში, როგორიცაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესის გამართულობა, პროგრამის შემუშავება, სილაბუსების მომზადება, უკუკავშირების შედეგად მუდმივ რეჟიმში უწყვეტად მიმდინარეობს ცალკეული კურსების მოდიფიცირება, სხვადასხვა ფორმატის საკონსულტაციო თუ სატრენინგო შეხვედრებში მონაწილეობა. ახალი რეგულაციების გაცნობისა ან შიდა რეულაციების შექმნა-განახლების მიზნით, ასევე მნიშვნელოვანია შეფასების ინსტრუმენტებსა და რეგულაციებზე მიღებული ინფორმაციის ასახვა პროგრამაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა თქმით, პერიოდულად ივსება კამყოფილების კითხვარებიც და აშ.
სტუდენტებსაც ეგზავნებათ რაოდენობრივი კითხვარები შესავასებად.
მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ აკადემიური პერსონალი წარმოადგენს სამეცნიერო/კვლევით სავალდებულო ანგარიშს, რაც მოწმდება ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთა მხრიდან პერსონალის შეფასების მიზნით .
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, თქმით, წლიური ანგარიშის ფორმა, რომელსაც პერსონალი ავსებს სასწავლო წლის მიხედვით, აერთიანებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, როგორც სამეცნიერო, ასევე სასწავლო მიმართულებებით.
შემდეგ მიმდინარეობს მიღებული მონაცემების დამუშავება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მესვეურთა მხრიდან, რის შემდეგაც მიეწოდება პერსონალს წინადადებები გასაუმჯობესებელი მხარეების მიხედვით. გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალურად იგეგმება აქტივობები.
პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი პერსონალის მიერ სამეცნიერო და პრაქტიკული ჩასატარებელი საათები.
შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.
ინტერვიუებში აღინიშნა,ისიც, რომ პერსონალის შეფასების შედეგები გაითვალისწინება პროგრამის განვითარების პროცესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.
ინსტიტუციაში სათანადოდ უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებისა და სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხი; სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია; პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და სწორი რეაგირება.
საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმებს, რაც ხორციელდება უსდში შემუშავებული და მოქმედი ხარისხის პოლიტიკის შესაბამისად, იგი ეფუძნება ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგის და გაუმჯობესების შესაბამისი პრინციპების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს.
დოკუმენტების შესწავლა, გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულებისა და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტები ორიენტირებულია საგან-მანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, შეიმუშავებს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, გეგმავს შეფასების პერიოდულობას, უზრუნველყოფს

შეფასებას და მოპოვებული მონაცემების ანალიზს და ამის საფუძველზე იძლევა რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
აკადემიური/მოწვეული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რამდენადაც ეცნობა და იყენებს გამოკითხვების შედეგებს:
სისტემატურად ტარდება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები, ჩატარებული კვლევების შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად, პროგრამის გასაახლებლად, პროფესორთა მუშაობის უკეთ დასაგეგმად.
ასევე პროგრამის მომზადებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და შესწავლილია შრომის ბაზარი .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- სწავლის შედეგების შეფასება, ცვლილებებით, ჩაშენებული პლატფორმით
- სტუდენტთა პროგრესის შეფასებისათვის-ანგარიშის ფორმის ნიმუში

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.1. შიდა ხარისხის შეფასება]	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებების საფუძველზე აქტიური ინტერვიუების ფორმატში გამოიკვეთა, რომ პროგრამა გარე ხარისხის შეფასებისათვის იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს: გარე ექსპერტის შეფასებას, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტების კვლევას.

ასევე პროგრამის შემქნელების თქმით, პროგრამა პასუხობს როგორც ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, ასევე საერთაშორისო ტენდენვიებს, პროგრამის მესვეურების თქმით, მათ ძალიან მჭიდრო კონტაქტები აქვთ ამ მიმართულებით ინგლისისა და პოლონეთის უნივერსიტეტებთან, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია.

პროგრამა პერიოდულად ფასდება გარე საერთაშორისო შემფასებლების მხრიდან,

სულ მალე იგეგმება ვიცე-რექტორის ვიზიტი პოლონეთში, რაც ასევე პროგრამის სამომავლო განვითრებისა და ხარისხის გაუმჯობესების მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ასევე პროგრამის მესვეურთა შეფასებებით, ამ მიმართულებით მოქმედ საერთაშორისო პროგრამებთან მათ აქვთ მჭიდრო კონტაქტები და თანამშრომლობა,

პროგრამის ანალიზი აჩვენებს, რომ წარმოდგენილი პროგრამა პასუხობს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, წარმოდგენილი პროგრამა, საერთაშორისო პარტნიორობით შექმნილი პროგრამაა, რომელშიც მაქსიმალურად ხორციელდება თანამშრომლობა გარე საერთაშორისო პარტნიორებთან მუდმივი განვითრების მიზნით.
მიღებული ინფორმაცია დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის ურუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სწავლის შედეგების შეფასება - ცვლილებებით, ჩაშენებული პლატფორმით
- პროგრამის გარე შეფასებები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.2. გარე ხარისხის შეფასება]	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების,

დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გასაუბრებებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალვრო პროგრამის გაუმჯობესების მიმნით მიმდინარეობს პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულება და მიზნობრივი ინტერვენციების დაგეგმვა შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, პერიოდულად მიმდინარეობს შემდეგი კვლევები - სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტების ყოველ სემესტრული გამოკითხვა - კურსებთან მიმართებით.

კურსდამთავრებულების გამოკითხვა, პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასება სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მესვეურთა განცხადებით, მუდმივად მიმდინარეობს პროგრამის სამიზნე ნიშნულების ანალიზი, მონიტორინგი, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ყოველსემსტრული დამუშავების საფუძველზე. ასევე დამსაქმებლების და გარე ექსპერტის/ექსპერტების შეფასებების ანალიზი.

ინტერვიუების რეჟიმში აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი დაკვირვებას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევის შესახებ - სამიზნე ნიშნულების მიხედვით.

ასევე ყოველსემესტრულად ხორციელდება სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასება. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შემდგომი განვითარება.

პროგრამის განვითარების დინამიკის მიზნით, ყოველ მომდევნო საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია შედეგების შედარების ანალიზი წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, უწყვეტად მიმდინარეობს პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმის დახვეწა, დამატებითი ინსტრუმენტების შემუშავება და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაძლებლობების გაზრდა.

ტრენინგების სერია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამრომლებისათვის უზრუნველყოფს - შიდა მექანიზმების სპეციფიკის, თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებისა და მონაცემთა ანალიზის ეფექტიანი გამოყენების გაუმჯობესებას.

რაც შეეხება პერსონალის წახალისებას და მათ პროფესიულ განვითრებისათვის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას, ხარისხის სამსახურის წარმომდგენლების თქმით, არსებობს სხვადასხვა ტიპის წამახალისებელი ღონისძიებები: ტრენინგებში, საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ჟურნალებში, სხვადასხვა გამოცემებში - სტატიის დაბეჭდვა და სხვა,

აკადემიური და მოწვეული პერსონალის განცხადებით, პროგრამაზე დასაქმებული პერსონალისათვის მუდმივად ცხადდება მრავალფეროვანი საგრანტო /საუნივერსიტეტო პროექტები,

ინსტიტუციაში მაქსიმალურად ხელშეწყობილია პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო საგრანტო პროექტებშიც, პერსონალი ჩართულია ერაზმუს+ ბევრ და სხვა მრავალფეროვან პროექტებში,

აკადემიური და მოწვეული პერსონალის თქმით, აქტიურია მათი დაფინანსება სამოგზაურო გრანტებში - საერთაშორისო კონფერნციებში მონაწილეობის მისაღებად,

უსდში მუდმივად მიმდინარეობს მატერიალური ტექნიკის, აჭურვილობის განახლება, საანგარიშო პერიოდში მოეწყო ახალი საბიბლიოთეკო სივრცე, შეიქმნა სამეწარმეო კლუბი,

ინსტიტუციის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თქმით, „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტს სეუ-ს და MIT შორის თანამშრომლობის შესახებ დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, (MIT Universal AI Services), სტუდენტებს/აკადემიურ, მოწვეულ პერსონალს აქვთ შეუზღუდავი წვდომა ფუნდამენტურ AI მოდულებზე, დარგობრივ (ვერტიკალურ) კურსებზე და MIT UAI-ის სასწავლო ბიბლიოთეკაზე“,

ხელშეკრულების ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ინოვაციურ სასწავლო ინსტრუმენტებს. კურსების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, MIT-ის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მათზე გაიცემა სერტიფიკატები. ამასთან, სტუდენტები გაივლიან მართვად პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რომლებიც რეალურ სიტუაციებზეა დაფუძნებული.

ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს, აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასარგებლოდ შემდგომ შესაძლებლობას. კერძოდ, პერსონალს უფლება აქვთ, შექმნან და პლატფორმაზე განათავსონ საკუთარი დარგობრივი მოდულები. პერსონალისთვის ტარდება ყოველკვარტალური ტექნიკური ვორქშოფები.

ადმინისტრაციის შეფასებით, ასეთი პროგრამის არსებობა ძალზედ მნიშვნელოვანია სწრაფად ცვლად და განვითარებულ საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქაში.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრებებათა სერია ცხადყოფს, რომ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმები უნივერსიტეტში დამუშავებული და გააზრებულია. რაც ხელს უწყობს პროგრამის მუდმივ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების შეფასება - ცვლილებებით, ჩაშენებული პლატფორმით
- ანგარიშის ნიმუში
- პროფესორის ანგარიშის ფორმა
- AI-ის პროექტის მოკლე აღწერა და შესაძლებლობები, დოკუმენტი

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დავით სიხარულიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკა გეგეშიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ირმა ქურდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა